


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 24 ივნისი 4 1895 წ. № 24

შინაარსი: „ალექსანდრ ივანიჩი“ აკაკისა.—ახალი ამბები.—ნაწყვეტი გალექსილი ქართლის ცხოვრებიდან.—საყურადღებო ამბები.—სტამბოლიდან, იმმასი.— ზღვის ძაღლებზე ნადირობა.—ჩაის მოყვანა ან. წ.—მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული.—ჩვენი საშინაო საქმეები, ფხასი.—სვიმონ ხელი, (დასასრული.) ვ. ბარნოვისა —კერძო განცხადება.

დაიბეჭდა და დაურიგდა ხელის-მომწერლებს

„ჯეჯილი“

№ III შემდეგი შინაარსით:

გლეხი და ანგელოზი, ლექსი ეზოპიდან მ. ღელაშვილისა. კინია, ამბავი—ბერთენ გოთუასი.—ბრძენი დამოწაფე—ლექსი დ. მაჩხანელისა.— თოთოლას სიზმარი, მოთხრობა—სილოვანისა.—პატარა ანნა და მთვარე, ლექსი—დ. ნინოწმინდელისა.—ტანისამოსი კაცს ხარისხს ვერ მოუმატებს—ფრანგულიდან ა წ—სა ბუზი, თარგმანი—ა. კორკოტაძისა.—უზარ მაზარი ცხოველები—ილიკოსი.—მგელი, ძაღლი და მელია, ა. ბარნოვისა.—თითები, მისივე.—ანდაზები, გამოცანები, ზმნა-გამოცანა, ჩქარა გამოსათქმელი, სიტყვების გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და რებუსი.

## ალექსანდრ ივანიჩი.

მოლა მასრადინას უთქვამს: „ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, იმას ნულარც ჩემი სიბერე უჩვენოს ღმერთმაო“. მედა ჩემმა ღმერთმა რომ კარგათ უთქვამს!.. ვინც ალექსანდრ ივანიჩის ჭაბუკობას არ მოსწრებია და მარტო სიბერეში უნახავს, ნუ იტყვის: „ვიცნობო“.—მე კი მაშინაც ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ. ღმერთო ჩემო!.. რა იყო და, რა არის?! ამ ორმოც წლის წინათ, ეს იმ მცირე გუნდში ერია, ქვეყნისთვის რომ ზრუნავდა და სამშობლოზე ჰფიქრობდა. დღეს იმ გუნდთაგანი აღარავინ დარჩენილა, გარდა ამ ვაჟბატონისა და ერთიც კიდევ რაფიელი დაკინკილობს ობლათ, თითქოს იმ ძველ მეგობრებს დაეძებსო. მაშინ... იმდროს ალექსანდრ ივანიჩს მეტ სახელათ „ვერცხლის წყალას“ ეძახდენ,—რა მოუსვენარი რამ იყო?! მკვირცხლი მხიარული, იმედებით აფრთოვანებული, გულ-გაუტეხელი და შეუპოვარი. სადაც კი შევიდოდა თან ნუგეშ-იმედი შეჰქონდა და სიხარულს ამრავალ-კეცებდა... ენაც თაფლში ჰქონდა ამონაწები. დღეს კი ყველა გადატრიალებია... გადაბრუნებია და ენაც ძიმწარეში ჩამუჟუჟებია, აი, რა უთხრა სიბერეს?! ის თვალ-ხარბი და შეჩვენებული, სწორეთ, სიყმაწვილის ძაღლთაპირია: მიეპარება შეუმჩნევლათ და იმდენს ჰკბენს ნელ-ნელა, სანამ არ დაამახინჯებს, რომ თავდაპირველი სახე დააკარგვინოს. გატანით არავის არ გაიტანს, ყველას ჰკენწლავს, მაგრამ ზოგს კი ნა-

მეტანს უშვრება და სწორეთ ამ ნამეტანში მოჰყოლია ჩვენი ნაცნობიც. დღეს აღარსადა ჰჩანს, სიბერის ბორკილი ამძიმებს და ათასში ერთხელ თუ გამოვა „საარხიოლოგო მოედანზე",—მუხრან-ბატონის სახლის წინ, მაგრამ ეტყობა რომ იქაც ვერ არის ხოლმე თავის ქერქში,.. გადგება განზე მამალ წეროსავით და განმარტოებულათ ეძლევა ოცნებას: შეხედავს „ტაძარს დ-დებისას" ჩაიცინებს გუნებაში და ბუტბუტებს: „მამა გიცხონდათ!" შემოხედავს სასახლეს—ღიმილი მოსდის და თანაც ღიღინებს: „ჰეი, დრონი, დრონი ნაქებნი მტკბარადო". წინ გაიხედავს თავს აქნევს, უკან მიიხედავს „მახლასო" იძახის. ქარს ესაუბრება და ღრუბელს შეჩივის. გამვლელ გამომვლელები რომ დაინახვენ, იტყვიან ხოლმე: ოჰ, დღეს კაი გუნებაზეა ჩვენი „ყია მყრალაო" და შორიდან უკვრენ თავს. ამგვარ გუნებაზე თვეში, ორჯელ-სამჯერ თუ იქნება ხოლმე, თვარა უფრო ხშირათ კორტის შენაჯდომსა ჰგავს და სიახლოვეს არავის იკარებს. იმ დროს მზე და მთვარესაც კი უღრენს და ქვეყანას ესაყვედურება.—მე, იმასთან საუბარი ყოველთვის მიყვარს და რა გუნებაზედაც უნდა იყოს არ ვერიდები—მივდივარ ხოლმე. გუშინაც „ტროტუარზე" დავიმარტოხელე და მივაშურე. „ზრასტიო" შემომიღრინა. ეჰ მივხვდი, რომ ერთი კორტიზის ნაცვლათ სამას-სამოცდა-ხუთი აწუხებდა, მაგრამ მაინც აღარ დავერიდე და ამოუდექი გვერდში. შემომიბღვირა—შევცინე, მიღრინა—მიუალერსე, შემომიყეფა—ჩაუბულბულე, დამირუსულა—დაუქართულე. (რუსულს მაშინ მიყოფს ხოლმე ხელს როცა ცუდ გუნებაზეა) ბევრი იხვანცარიკა, მაგრამ ვეღარას გახდა. ნელ-ნელა მოიბრუნა გული, მოიგონა წარსული და შეტოპა. ამისთანა დროს კაი სანახავია ხოლმე ალექსანდრ ივანიჩი, უცბათ იცვლება, თითქოს ჯოჯოხეთიდან სასუფეველში გადაიყვანესო, სახე უბრწყინდება, გული უცემს, ენა უჭრის, ცმუტავს და ხითხითებს. სწორეთ სასიამოვნოა, რომ ბოლოს გატანა იცოდეს, მაგრამ უცბათ შეხუშტურდება, შეჯდება თავის კვიმატ ჯორზე და აყრევინებს ტლინკებს. გუშინაც ასე მოუვიდა. ერთი ლამაზი ქალი დაინახა და კინალამ კისერი მოიტეხა ისე დაფთხა: „რა იყო კაცო, რა დაგემართა ლამაზ ქალს როგორ შეუშინდი"—ვეკითხებოდი გაოცებული. „მოდი და ნუ შეუშინდები მაგისთანა ქერიმა ქალს".—მიპასუხა.

— როგორ თუ ქერიმას?

— დიახ, ქერიმას. თოფი არ უჭირავს ხელში თორემ ქერიმაზე უფრო მცარცველები არიან. მაგათი შიშით ქუჩებზე ველარ გაგვივლია, კალთებს გვაგლეჯენ: აი ეს ბილეთი იყიდეო, ეს ხელი მოაწერეო, ეს ესაო, ეს ისაო და ვინ იცის კიდევ რაები!.. მერე მდიდრებთან ხომ არ მივლენ... ღარიბებს გვეტანებიან... გვიბრიყვებენ. ლუკმას პირიდან გვაცლიან! ჯანი გავარდეს, შიმშილს კიდევ მოითმენს კაცი და დაიკლებს, რომ ის ნაცარცვი მართლა კარგ საქმეზე მიდიოდეს, მაგრამ დღეს „ქველ-მოქმედება" გველ-მოქმედებათ გადიქცა.

— აი, აი ალექსანდრე ყველაფერი თქვი და მაგას კი ნუ გამაგონებ. დღეს, როდესაც უმეტესობამ გულიდან გადიგდო ჩვენი ქვეყანა და აღარც კი იცის ვინ არის, თითო-ოროლა ღვთისნიერები გამოსულან სარბიელზე, რომ თავი მოგვაგონონ და შენ კი კიჟინასა სცემ?

— გამოსულან?! ჰმ, კი არ გამოსულან გამომეტიჩარებულან, გამოსვლაც არის და გამოსვლაც, სარბიელი სხვა-და-სხვა გვარია. ადვილი მოსატყუებელი ხართ პოეტები, რაც არ არის და მხოლოთ გულით გინდათ ის გეჩვენებათ, თქვენი არა დაიჯერებარა, მართალი მხოლოთ დავით გურამიშვილს უთქვამს: „სულ ბნელია რაცა ელავსო" ყველა სტყუის და თვალთმაქცობს, ქვეყანა და ქვეყნის საქმე უმეტესობას დღეს პირბადეთა და ხელსახოცათ აქვს აღებული, სიტყვა მეტი მესმის და საქმეს კი ვერსად ვხედავ. დუქნებში ბევრს გაიძახიან ლოთობის დროს: „გაუმარჯოს საქართველოსო" და საყდარში მლოცველი, კი მისთვის ბევრი არავინ მინახავს. რასი ფლავი, რასი ჩლავი, ყველა თავის კუჭზე ფიქრობს და ქველ-მოქმედებას ცილსა სწამებენ. გაკოტრდება ვინმე ანტრეპრენიორი... თეატრში აღარავინ დადის მაშინ მოაგონდება ქველ-მოქმედობა, „ამა და ამ კეთილ საქმისათვის წარმოდგენა მინდა გავმართოო" მიიტყუებს გულ-კეთილებს, ფულებს გამოცინცლავს გამოიანგარიშებს, გაჰკრავს-გამოჰკრავს ჩოთქს... „ძროხა ანტონსო, ცხვარი პატრონსო". გროშს საქველმოქმედო საქმეს უზიარებს თვითონ კი თუმნობით იჯიბებს და მადლობასაც მიიღებს ხოლმე. უსაქმურობით „დასკუჩნავებული" ქალბატონი გამოიგონებს ვითომ და რაღაც საქველ-მოქმედო საქმეს; დროსაც გაატარებს, თავს გამოიჩენს და მადლობასაც მიიღებს... თავისი რა ეხარჯება? ერთმა ქალბატონმა მაგ ქველ-მოქმედებით სახლი აიშენა, მეორეს თურმე იჭვიანი ქმარი ჰყავდა და საყვარელს „რანდეუს" უნიშნავდა, მესამეს თავის გამოჩენა უნდოდა და ამგვარათ ყველას თავის ანგარიში აქვს და ჩვენ კი ტყავი გვძვრება, ვინ იცის ვისთან და სად მიდის ჩვენი ლუკმა? აი, ახლა რომ ქალმა ჩაიარა, ბილეთებს დაარბენიებს, ვიღაც უცხო ჯამბაზის სასარგებლოთ და ქართულ თეატრში თავის დღეში არ შეუხედნია. „მლიაპა" რომ შეუგდო შიგ გამოსატანათაც არ შევა... დაათრევენ რაღაც კოლოფებს:

ამა-და-ამ ქვეყანაში ცხრამთას იქით საყდარი უნდა ავაშენოთო! მაშინ როდესაც შინ კი ენგრევათ! აი, ამაზეა ნათქვამი: „შინ რომ ცოლ-შვილი შიმშილით გეხოცებოდეს გარეთ ტაბლას რა გრჯისო". ეჰ, მოდაა, ყოველიფერი მოდაა, დღევანდელი ქველ-მოქმედებაც ქერიმობაო — თქვა ალექსანდრ ივანიჩმა გადააქნია ხელი და გამშორდა. დავრჩი მარტო და ჩავარდი გულის-ხმაში.

მართალს ამბობს ალექსანდრ ივანიჩ, რაც ჩემ ნახსოვრობაში, ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში, საქველ-მოქმედო საქმეში, სხვებთან ერთათ მეც მიმიღია მცირეოდენი მონაწილეობა და იქიდან ფულები შემოსულა, რომ მოგვეგროვებია და შეგვენახა; დღეს რამდენიმე ათასი თუმანი იქნებოდა, ახლა ამას ისიც მიუმატოთ, ამ ხნის განმავლობაში რამდენჯელ და რამდენგან, საქველ-მოქმედო განძრახვითვე შეგროვებულა ფულები, ესენი ყველა, რომ შეგვენახა დღეს ისეთი ძირის ფული გვექნებოდა, რომ ყოველ წლობით მარტო მისი სარგებლით გამოვზრდიდით ოცსა და ოც-და-ათ ახალ-გაზდას, ახლა კი თავნი ისე გაიფანტა, როგორც ქარისაგან ბზე; სარგებელს და ნაყოფს დიდს ვერასა ვხედავთ: ახალ-გაზდები რო იზრდებიან ეს ნაყოფი არ არისო?— იტყვიან ზოგიერთები დიახ, მაგრამ ჩვენ მისთანა ნაყოფი გვინდა, რომ ცოტა სამსახური გაუწიოს საზოგადოებას, თვარა განა ცოტა გვყვანან მისთანაები, რომ ჩვენიანობა კიდეც ეთაკილებათ? კერძოთ ფარფაშობენ, საზოგადოს თვალყურს აშორებენ, გამდგარან განზე და კიჟინას გვაყრიან. „განქრენ ჟამნი ოცნებისო, თუ ჩვენ არ ვიქნებით ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილიო". განა ცოტანი არიან, რომ სტუდენტების კასსიდან გაჭირვების დროს ფულები დავხარჯოთ და დღეს, როცა კეთილდღეობაში არიან აღარც კი იგონებენ? ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში, მხოლოთ ორათ ორი მაგალითი ვიცით, რომ ნასესხები ფული დაებრუნებიოს. გულ-კეთილობა კაი საქმეა, მაგრამ იმასაც თავის გზა აქვს. ამას ყოვლიფერს მიტომ კი არ ვამბობ, რომ საქველ-მოქმედო საქმეების წინაამდეგი ვიყო, არა, მე მსურს, რომ უფრო სწორ გზაზე დავადგეთ და ჩვეულებრივი ბედოვლათობა და დაუდევრობა, მომავალში მაინც ავიცდინოთ თავიდან: უნდა ვეცადოთ რომ შესდგეს საზოგადოება, კანონიერი სახე მიეცეს და იმან განაგოს ხოლმე უფრო გონივრულათ. როდესაც ახალგაზდა მოსწავლეს შემწეობა ეძლევა, იმას უნდა კანონიერი ხელ-წერილი ჩამოერთვას იმ პირობით, რომ როცა შეიძლოს სარგებლით გადიხადოს. ამითი რა დაშავდება, თუ რიგიანი კაცი გამოვა, მაშინ თვითონ მოიგონებს თავის თავათ თავის მოვალეობას და თუ არა რათ უნდა შევარჩინოთ და იძულებული არ უნდა ვყოთ რომ გადიხადოს. აქამდინაც, რომ ამ ჭკუაზე ვყოფილიყავით, ის ვაჟბატონები დღეს, რომ ხმას არ იღებენ ძალდატანებით შემოიტანდენ რაც წაუღიათ და დღეს ორი წილი მაინც ამოგებული გვექნებოდა იმ დიდი თანხიდან. ჩვენ თვითონ ღარიბები ვართ და ჩვენ ქვეყანას ნება არა აქვს, რომ თავისი წვლილი აქეთ-იქით აბნიოს ვინმე კერძო პირის დასაკმაყოფილებლათ, მაშინ როდესაც ქვეყნისთვის სასარგებლოს არას მოელის. სწორეთ დრო არის რომ შედგეს წრე თვალყურის მდევნელი და ჩვენებური ქველ-მოქმედების უფრო სწორ გზაზე დამყენებელი. მაშინ ალექსანდრ ივანიჩებსაც ნება აღარ ექნებათ, რომ არ მოსწონდეთ ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა, მანამდი კი სრული უფლება აქვსთ და მადლობელიც უნდა ვიყოთ მათი გულკეთილობის, რომ ჩვენ დღევანდელ ცხოვრებას თვალყურს ადევნებენ, ავს ავათ იხსენიებენ და კარგს კარგათ.

აკაკი

## სხვა-და-სხვა ამბები

ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოწვეული იქნება 11 ივნისისთვის. ამ კრებაზე უნდა განიხილონ თავად-აზნაურობისაგან ბანკის ქარვასლის შეძენის საქმე.

* * *

სოფიო. ჩხარტიშვილისამ თავისი ხარჯით დაბეჭვდინა დიდი სურათი განსვენებულის ეგ. ნინოშვილისა აკაკის შემდეგი ზეწარწერით:

მას ვინც სიცოცხლე, ხან-მოკლე,
ხანგრძლივათ ნაყოფიერი,
წმიდათ უმსხვერპლა სამშობლოს
არ დაივიწყებს არც ერი.

სურათი ღირს 25 კ. სრული შემოსავალი დანიშნულია ლანჩხუტის სამკითხველოსთვის და ეგ. ნინოშვილის ძმისწულის ალსაზრდელათ.

* * *

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მინდობილობით სამ პირს: ეკ. გაბაშვილისას, ნ. ცხვე-

დაძეს და გ. ქურულს განუხილავთ პეტერბურგის ლიტერატორთა და მეცნიერთა დახმარების საზოგადოების წესდება ცოტაოდნათ შეუცვლიათ და ახლა გზავნიან დასამტკიცებლათ. მართალია წესდების დამტკიცება ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია ცხოვრებაში მისი გაყვანა. მადლობის ღირსნი არიან ეს სამნი პირნი, რომ ჩვენი ლიტერატორთა გუნდი არ შეაწუხეს და მათი მოთხოვნილების ასრულება თითონ დაივალეს, მაგრამ ვეჭვობთ, რომ თუ თითონ წრემ არ გამოარკვია თავისი საჭიროება—ერთი-ორი კაცი რას გააწყობს, რაც უნდა გულშემატკივარი იყოს.

* * *

კვირას იყო მასწავლებელთა ქალთა საზოგადოების კრება, რომელზედაც წაიკითხეს თავიანთი მოსამზადებელი შკოლის წლიური ანგარიში. ეს შკოლა სულ ორი წელიწადია რაც გაიხსნა და სხვა შკოლებისაგან იმითი განირჩევა, რომ ყმაწვილებს სწავლას აწყებინებენ დედა-ენაზე. ამ აზრის გაყვანა, ჯერ ჩვენში ძნელია, რადგან თვით ბავშების დედმამა არ ხედავს ამას საჭიროთ და შკოლას მატერიალური მხრით ბევრი დაბრკოლება ეძლევა, მაგრამ წელს როგორც ჩანს ანგარიშიდან, უკეთესათ წასულა საქმე. ბავშები 60 მეტი ჰყოლიათ და თვით შარშან გიმნაზიებში დაბინავებულ ამ შკოლის ყმაწვილებს შესანიშნავი წარმატება გამოუჩენიათ.

## ნაწყვეტი გალექსილი „ქართლის ცხოვრებიდან“

(დასასრული) *)

ტირილი თამარ მეფისა თუშთა, ფშავთა, ხევსურთა, ქსნელთა და ეგრეთვე ერთობლივ კავკასიის მთის ხალხთა·

მოდგნენ თუშ-ფშავნი ხევსურნი, მეფისა სახლსა ჩვეულნი:
გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი, არ ვართო მასთან ძლეულნი·
შეუძლევნენ სრასა შევიდნენ, ვით მტერზე გამარჯვებულნი,
და გამვემ მეფის სახლს გარერტყნენ ყარაულ ჩვეულებულნი.
როს განიცხადეს კუბოდა, ოქროსა ტახტსა დებული:
რა არსო ესე, რა არსო! შეიქმნენ განცვიფრებული.
იქნება მეფე ძილად წევს, იყავით დაწყნარებული,
და ნურ-ვინ ყაყანებთ, დაჩუმდით, ვიყვნეთო გაჩუმებული.
რად არ აღსდგები ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა,
ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა,
მოვსულვართ შენნი ერთგულნი, არ მხსოვნი შენგნით ჭირისა,
და ვა თუ ჩვენ მიერ გწყენოდეს გვჭყო მოხსენებათ ძვირისა.
თორემ შენი ჩვენსა ზედა ესდენ ხანათ უბარობა
არა გვახსოვს არაოდეს შენი ასე მდუმარობა.
თუ მოსულა მტერი ვინმე, ადე გვიყავ მოუბრობა,
და ჩვენ შევებათ, მათ ვერ გვიყონ ჩვენთა მკლავთა დაცაზრობა,
რაზედ გვიწყრები ხელმწიფევ, გმირო და გმირთა შობილო!
არ გაგვიძლევები თათრებზე ჩვენზედ წინ-წინად სწრობილო,
შენთა ერთგულთა სიცხესა ვით ჩრდილო ვითა საგრილო,
და ვსცეთ მტერთა ხმალი ლესული, იდონ მალამო სალბილო.
აწ ვგრძენით ცოცხალ აღარ ხარ, აღარც გიყვარვართ ყმანია,
რად დაუტევე ეს ტურფა სახლი, მეფეთა სრანია,
გვითხარ ვის მიგვეც ერთგულნი, ვის უდგას შენი ხმანია
და ავ დროს შეგვმართე ღალატი, ჩვენ ვართ ომისთვის მზანია.
მოიხადეს თავსა ქუდი, იარალი შემოიხსნეს,
იწყეს მოთქმა საშინელი, არღავისა დაეკითხნეს:
ვაჲ, ბატონო, ლომო სიმხნით, შენსავით ვინ მოგვიკითხნეს,
და ვაჲ თუ მტერი გაგვილომდეს, შენთ ყმათ პირველ რომელ ითნეს.
მოსთქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლად ტირიან.
ვაი ჩვენ ძმანო თუშ-ფშავნო, უბატონობას ჩივიან,
ხევსურნო, ციხის ამღებნო, ხმა მაღლად ამას ყვირიან,
და აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა ყივიან.
ისმინე ღმერთო,, რად გვიყავ რაზედ წაგვართვი მეფეო,
ჩვენი მოწყალე ხელმწიფე, ვაშ-კაცი ჩვენი მეფეო,

*) იხ. „კვალი“ № 22

ხომ შენი ლოცვა უყვარდა შენი მოსავი მეფეო,
და აწ რა ვქნათ, ვისით მტერსა ვსძლოთ, რომ აღარა გვყავს მეფეო·
ვაი ჩვენ თავსა მთიულნო, ვაიო გაბებრებულთა
ჩვენ ხმალთა პირი დაბლაგვნდა, თოფთ ვხედავთ ¸ა ჟანგებულთა,
შენ დროსა ველარ შევხვდებით, აწვე ვართ გაგიჟებულთა,
და რა ვქნათო ერთათ ჩივიან, მოგვხედეთ გამწარებულთა.
ვაი მთის ხალხნო, ბატონი გვიწყრების, გვწყრების გულითა,
არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა,
ხომ ხედავთ ჩვენო მოძმენო მეფე არს ჩვენზე ლულითა
ვიცით შენს უკან არ ვარგვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა.
მშვიდობით დიდო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლოდა
მშვიდობით ერთგულთ მოწყალევ, მშვიდო¹ით ობოლთ მზრდელოდა,
მშვიდობით ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით მტერთა მკვლელოდა,
და ვით გესალმებით, არ ვიცით სად გაქვს საცხოვრად ბოლოდა!
რად ესალმებით მოყმენო, ურთიერთს ეუბნებოდეს,
თან წაგვიყვანე ბატონო, გული შენთანა გყვებოდეს,
იქნება მარტოს მტერი გხვდეს, თუშთ ხმა არ გეყურებოდეს,
და ჩვენთვის სირცხვილ არს ფშავ-ხევსურთ, რომე არ შენთან კვდებოდეს.
მშვიდობით თუშთა იმედო, მშვიდობით ფშაველთ მყვაროდა,
მშვიდობით ხევსურთ საუნჯევ, მშვიდობით მტერთა მზაროდა,
მშვიდობით არაგველთ ძალო, მშვიდობით ქსნელთა მძლევაროდა,
და ერთობლივ გიორგიელთა მეცხვარ-მწყემს —წინამძღვაროდა!..

## საყურადღებო ამბები

სოფ. ¹ურები (ოზ. მაზრა). ყველაფერს მოველოდით, მაგრამ ეგრეთ უწესოებას, როგორ¬ც სუფევს ეხლა ჩვენში, კი არა. ყველა გაჭირებას რომ გაუძლონ აქაურმა მცხოვრებლებმა, მოხელეების მიერ მიყენებულ გაჭირებას კი ვერ გაუძლებენ. მწერალს და მამასახლისს შეუსწავლიათ „მოსე მწერალი“-ს მოქმედება და ვისიც მტრ·ობა აქვთ ვაი იმათი ბრალი, აი მაგალითი: აქაურ მცხოვრებლებს ძმათა ლომინეშვილებს მაზრის უფროსი იბარებდა. მწერ ალმა აილო მოწერილობა და წაუკითხა მამასახლისს (მამასახლისმა წერა-კითხვა არ იცის): „სურების სოფლის მამისახლისო, მიღებისათანავე ამა მოწერილობისა სურებში მცხოვრ¡ბნი ლომინეშვილები დაიჭირეთ და წარმომიდგინეთ“ (როგორც მერე აღმოჩნდა ეს მოწერილობაში არ ყოფილა, მწერალმა მოახერხა, რადგან მას მტრობა ჰქონდა ლომინეშვილებთან); მამასახლისმა შეაგროვა ოც-დახუთი კაცი შეიარაღებული და გაეშურა ლ·ომინეშვილების დასაჭერათ; მამასახლისის მისვლამდი ლომ¹ნეშვილებმა ეს გაიგეს, განცვიფრებულნი ერთი მეორეს ეკითხებოდენ: „რეიზა, რისთვის გვიჭერენ აწი, რა დავაშავეთ იმასთანა“? მამასახლისი მოხელეებით მივიდა ლომინეშვილების ეზოში; ეს რომ ლომინეშვილებმა დაინახეს აიღეს იარაღი, ჩაიკეტეს სახლის კარები და შიგნიდამ გამოიძახეს: „არ მოხვიდეთ სიახლოვეს, თვარა გაგათავებთო“. ატყდა მშობლების- ძმის, დების და ნათესავების კივილტირილი, „ვაი შვილებო რა უმოწყალოთ მეღუპებით“: რა სამწუხარო მოვლენა იქნებოდა ადვილათ წარმოიდგენს მკითხველი. მამასახლისმა, მწერალმა- და მოხელეებმა დიდ ხანს იყოყმანეს ეზ·ოში, ბოლოს, რომ ვერა გააწყეს·რა, წავ·დენ. ლომინეშვილები მოემზადენ და განიზრახეს ყაჩაღათ გავარდნა; მაგრამ მეზობლებმა დაამშვიდეს, ურჩიეს, რომ ისინი თვითონ ˆასულ·იყვენ მაზრის უფროსთან, უთხრეს, რომ მაზრის უფროსი ისეთი პატიოსანი და კეთილი კაცია, რომ თქვენ არ დაგიჭერთ, ვინაიდგან არავითარი დანაშაულობა არ მიგიძღვითო. ლომინეშვილები დათანხმდენ მეზობლების რჩევაზე—წავიდენ მაზრის უფროსთან. მართლაც მაზრის უფროსმა მიცა მათ მამობრივი დარიგება, როგორიც მოსალოდნელი იყო მისგან და დაითხოვა სახლში. ამ ნაირათ გადარჩა ეს ორი კაცი. ეს ერთი მაგალითათ

მოვიყვანე, თვარა ვინ მოთვლის მოხელეების ბოროტმოქმედებას, არც ისინი მალვენ. მამასახლისი აშკარათ ელაპარაკება მოხელეებს: „დავახჩოთ ამ სამ წელიწადს (მოხელეებს სამი წლის ვადით აყენებენ): რა გვენაღვლებაო“. ნუ თუ არ არის ეს „მოსე მწერალი“-ს მოქმედება?!. კარგს იზამდა ბ-ნი მაზრის უფროსი, რომ ჩვენც გაგვიხსენებდეს და ეგრეთ ბოროტ მოქმედებას მოსპობდეს. შველა არის საჭირო, ვინაიდგან დიდ გაჭირვებაში არიან საწყალი გლეხები, არ იციან რა გზას დაადგენ, ან რით უშველონ თავს. სწავლა-განათლების საქმეც უყურადღებოთ არის აქაურ მცხოვრებლებისაგან დატოვებული, მაგრამ როცა მაზრის უფროსი გაგვიხსენებს, რომ ჩვენც ოზურგეთის მაზრას ვეკუთვნით, იმედი გვაქვს დაგვეხმარება, ამ ნაკლსაც თავიდამ მოგვაშორებს.

***

ოქიდანვე. გურიაში, სხვა-და-სხვა სოფლებში. ნავარდობენ გაიძვერა ვაჭრები და თითქმის მუქთათ იგდებენ ხელში ადგილობრივ ნაწარმოებს; ეხლა მგონი შემცირდეს მათი მოქმედება, რადგანაც ქ. ოზურგეთში დაარსდა ამხანაგობა სახელწოდებით: სავაჭრო სახლი გურიის ამხანაგობისა „შუამავალი“; ამ მოვლენას უზომო სიხარულით ეგებებიან გურიის მცხოვრებნი. სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩავთვალოთ, რომ სურებლებსაც კეთილათ მიაჩნიათ ეს საქმე, ალბათ გაითვალისწინეს რა სამსახურს გაუწევს „შუამავალი“ სურებში მცხოვრებლებთ, სადაც ადგილობრივი ნაწარმოები ბევრია, მაგრამ ზოგ ნაწარმოებთაგანს გასასაღებელი ბაზარი არ აქვს და ზოგს კი იგდებენ ხელში აქაური ვაჭრები მუქთათ; აწი კი იმედია „შუამავალი“ ალაგმავს ჩარჩ-ვაჭრების მოქმედებას. ჩვენი მხრით ვისურვებთ, რათა ეს კეთილი საქმე სასურველათ დაგვირგვინებულიყოს და მრავალი თანამგრძნობელი ამოჩენოდეს. ეს არის პირველი ნაბიჯი გურიაში, თუ ამაში დამაარსებელი — ოზურგეთის ამხანაგობა დამარცხდა, საქმე რიგიანათ ვერ წაიყვანა, სამუდამოთ დაჰკარგავს ხალხის ნდობას; ამისთვის საჭიროა ამხანაგობამ საქმეს მაგრათ მოჰკიდოს ხელი და საქმის მწარმოებელი პირნი კარგები მოძებნოს.

გ. კ'წავა

## სტამბოლიდან.

დასასრული *)

სტამბოლი დღითი დღე უმჯობესდება. აქ ამ ცოტა ხანში ბევრი შესამჩნევი შენობები გაკეთდა: უფასო დიდი საავათმყოფო, ბანკა — რეჟის შენობა, ფოსტა სატელეგრაფო და სხვა სახელმწიფო შენობები *), ყველაზე უფრო შესამჩნევი არის „კე“ (ნავთ სადგური), რომელსაც აგერ ერთი წელი სრულდება, რაც ფრანცუზების კომპანია აკეთებს, ერთი მესამედი ერთის მხრისა უკვე გააკეთეს. გემებს ახლა თავისუფლათ შეუძლია ზედ მიადგენ და მოინდომა კიდეც კომპანიამ მიეყენებია, მაგრამ მენავეებმა არ დაანებეს. ამ რამდენიმე თვის წინეთ შეთქვეს მენავეებმა პირი. მოგროვდენ ყველა ერთათ და გადაეღობენ გემებს. ან ნაპირზე გემის მიყენებას არ დაგანებებთ ან სუყველა აქ გავწყდებითო. საქმე იმდენზე მივიდა, რომ საჭირო დარჩა მთავრობას ჯარი მოეწვია, მხოლოთ ნებაყოფლობით მაინც ვერ დაამშვიდეს, მაშინ ებრძანა ჯარს შეეტია მოჯანყეებისათვის ხიშტებით. რამდენიმე კაცი მოკვდა და ორი-სამი სალდათიც დაიჭრა. ბოლოს მენავეები გარეკეს, მაგრამ საქმე არც ამით გათავებულა. იძულებული შეიქნენ ეს საქმე სულთანისთვის ხელახლათ ეცნობებინათ და სულთანმა მაშინვე გამოცა ბრძანება, რომ სანამ „კე“-ს გაკეთება სრულიათ არ მორჩება, გემების ნაპირზე მიყენების ნებას ნუ მიცემთო. დღეს ძლიერ უკმაყოფილოთ არიან აქ საზოგადოთ ყველანი და მეტადრე კი მდაბიო ხალხი, რადგან საწყალ ხალხს ლუკმა

*) იხ. „კვალი“ № 22.

*) სხვათა შორის გაიღო ორი ყავახანა „კაფე“ ისეთები რომლის უკეთესი, როგორც ამბობენ ევროპაშიაც არ არის. ესენი ორივე სომხების არის და ორივე „პერაში“. ერთის პატრონია მიკირდიჩ თოკათლიანი და ჰქვია კაფეს „სპლანდიდ“ და მეორე არის ოთელი და კაფე „კაფე პესა — პალლას“ ის სახელით.

ნამდვილ ევროპიის გემოზედაც არის მოწყობილი, პირველი სამ სართულიანია, პირველ სართულში ყავახანა, ლუდხანა და კანდიტერია. მეორე სართულში განსაკუთრებითი ინტელიგენციის განყოფილება არის, მესამეში საქორწილო ზალა, სალაპარაკო ოთახები და დასაძინებელი ოთახებიც არის. მეორე „კაფე — პესა პალლას“ პირველ სართულში მშვენიერათ და ძვირფასათ მოწყობილი სალონია. სადაც ყოველნაირი სასმელ-საჭმელი მოიპოვება და ზემოთ ხუთი სართული (ოთელი) სასტუმროა და ერთი კარები საქალაქო ბაღში გადის.

პური მოექრათ. უწინ თუ ერთი დამოჟნა იყო, ახლა ორი არის: ძველი და ახალი. ძველი სახელმწიფო დამოჟნა ისევ ისე და ხან მეტსაც ახდევინებს უწინდელზე და „კეს“ კომპანია კი ცალკე ას კილოზე ერთ ფრანკს იღებს და ყოველ მოყვანებულს ნავზე ერთი ფრანკი უნდა გადიხადოს ყველამ, როგორც მოტანილ საქონელზე, ისე გატანილზედაც, გინდ ეს საქონელი შიგ თურქიაშივე მიდიოდეს. ახლა კიდევ გარედან მოსულ ხალხს პასაჟირზე ხარჯი დაედვა კესგნით. ასე რომ მესამე კლასის მგზავრს 60 ფარას (სამი შაურია) მეორე კლასისას სამ ყურუშს (ექვსი შაურია) და პირველი კლასისას ხუთ ყურუშს (ათი შაურია) ახდევინებენ ყველას განურჩევლათ გარდა ჯარის კაცისა, ყველა გაკეთებული ადგილები ნავთ სადგურისა შემოღობილი აქვთ, სასეირნოთაც არვის უშვებენ. წინეთ ამ მანძილზე ათიოდე მისადგომი ნაპირები იყო. ახლა კი სულ ორი, ისიც იმდენი, რომ ძლივს შეუძლია ორი ნავი მოთავსდეს. ამ გარემოებამ ხალხი ძრიელ აალელვა, შიშობენ კიდევ აჯანყება არ მოხდესო.

ყოველი გვარი. რომელიც პოლიტიკურათ დამოკიდებულია, სადაც უნდა წავიდეს, თავისუფლათ და წყნარათ ცხოვრებს, იმას არც კი აწუხებს სამშობლო ქვეყნის სიშორე, რადგან მას შეუძლია მოიპოვოს თავის ენაზე ყოველ გვარი საჭირო საგანი, როგორც წიგნებ-გაზეთები, სკოლა-თეატრები და სხვა. ქართველი კი ყოველგან,—ყველა ამას მოკლებულია. „რა აწუხებს ქართველს საზღვარს გარეთ“ და, აი, მხოლოთ ეს. აქ სტამბოლში ყოველ ნაირი და თითქმის ყველა ენაზე მოიპოება: შკოლა, თეატრი, წიგნთ-საცავი, ბიბლიოთეკა, კლუბი, ამხანაგობა და სხვა. ქართულათ კი სრულებით ვერას შეხვდებით. ქართველზედ უარეს მდგომარეობაში აქ სტამბოლში მაინც არავინ არ მოიძებნება. კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი ენა და წერა-კითხვა ძლიერ ადვილი სასწავლებელია და ძნელი დასავიწყი, თვარა თქვენი მტერი, რაც ჩვენ მოგვივიდოდა. აგერ ერთ წელზე მეტია, რაც მე მოვიწადინე აქ ერთი პატარა ბიბლიოთეკა დამეარსებია, მცირეოდენი ქართულ-რუსული წიგნები შევისყიდე კიდეც, ასე ასი ცალი სხვა-და-სხვა წიგნები უკვე მაქვს, ძრიელ მოწადინებული ვიყავი გამეფართოებია, ყველა ჩვენი ქართული გამოცემაები—გაზეთ-ჟურნალებიც და ორი სამი რუსულიც გამოვიწერე, მხოლოთ თანაგრძნობა აქაურ ქართველთა შორის მაინც ვერ მოვიპოვე; სომხურს უფრო ხალისით კითხულობენ, ვიდრე ქართულს. გარეშე ადგილებიდან, როგორც ტრიპოლიდან, ფილიპოპოლიდან—ბოლგარიიდან, სამსონიიდან და ორდუდან ხშირათ მომდის ხოლმე წერილები და მთხოვენ გაზეთებსა და წიგნებს. მხოლოთ ამ ბოლო დროს ქართული წიგნების გაგზავნ-გამოგზავნა სათათრეთში, სომხების არეულობის გამო, ძლიერ შევიწროებულია, რადგან საცენზოროში ქართულის მცოდნე არ არის და უცენზოროთ კი არც მიიღებენ ფოშტაში არავითარ ქართულს წიგნ-ჟურნალს და არც მოგცემენ. აქ სტამბოლში კი, რაკი ბევრ ნაირი ფოსტის განყოფილებაა, პატარ-პატარა პაკეთების მიღება კიდევ ხერხდება, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენი ფოსტა ძლიერ უთავბოლოთ ირჯება. საქართველოდან ხშირათ ერთი თვის შემდეგ მოდის გაზეთები და ხშირათაც სრულებით იკარგება. ბოლგარიიდან მწერს ერთი კათოლიკე სარწმუნების ქართველი მღვდელი—პატრი ათანასე ნასყიდოვი, რომ მან ბევრი იმეცადინა, რომ გაზეთები და წიგნები გამოეწერა, ბევრი გამოიწერა კიდეც, მხოლოთ მიღებით ნახევარიც ვერ მიიღო და ახლა მე მთხოვს გაუგზავნო კატალოგი აქაურის ჩემის წიგნებისა და სხვა-და-სხვა წიგნებიც. მაგრამ მე ჯერ კატალოგი კი არა, საჭირო წიგნებიც არ მაქვს. წიგნების მოთხოვნილება აქ ამ რამდენიმე წლის წინეთ სრულებით არ იყო და ახლა კი ერთი წლის მეცადინეობამ ცოტ-ცოტა შეაჩვია ზოგიერთები. მაგალითათ: ძრიელ ხალისით კითხულობს ქართულ გაზეთსა და წიგნებს პატრი ალექსანდრე ხისტარაშვილი (თუმცა მან ფრანგულიც კარგათ იცის) ალექსანდრე ფილოშვილი, რომელიც თავის ბავშვებსაც ასწავლის ლუკა თუმანოვი, და ერთი ორი კიდევ სხვებიც, რომლებიც თუმცა თვითონ არ კითხულობენ ქართულს, მხოლოთ შვილებისთვის კი ცდილობენ ქართული ასწავლონ. ამისთვის მეც ვცდილობ ამ წელში უეჭველათ დავაარსო, აქ უფასო ქართული ბიბლიოთეკა და ვთხოვ ყველა პატივცემულ ქართველებს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს და წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას დამითმონ მათი გამოცემაები, თუ უფასოთ არა, ნახევარ ფასათ მაინც. ბიბლიოთეკის დაარსებასთან ერთათ მე მინდა აქ ერთი პატარა საკვირაო ჟურნალიც გამოვცე ქართულათ, რომ აქაურს ქართველობას შეეძლოს იაფათ იქონიოს თავის ენაზე გაზეთი და აქაური და საქართველოს ამბები მაინც გაიგონ ხოლმე. რადგან ბევრმა ამათგანმა სხვა ენები სულ არ იციან წერა-კითხვით და ქართულიც ავიწყდებათ.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები საზღვარს გარეთი ამბებით, ძალიან ღარიბები არ არიან, მხოლოთ სტამბოლიდან კი იშვიათათ შეხვდებით, რასმე, ჩვენის აზრით კი, როგორც მოსამზღვრის, სათათრის მდგომარეობის და გარემოების ცოდნა მეტი არ იქნებოდა, რომ ადგილს მოიპოვებდეს ჩვენის გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ სამწუხაროთ, ისე ცოტა გაზეთ-ჟურნალები გამოდის ქართულს ენაზე, რომ ყველა კორესპონდენციები კი არა ერთ მეათედსაც არ ჰყოფნის. ამასთან ერთათ კიდევ ის გარემოებაც გვიშლის ხელს, რომ ჩვენი გაზეთები ერთი სულ ი

და დ გულით არ არიან გამსჭვალულნი და არც საზოგადო მიმართულებას მიდევენ, მაგალითათ: ევროპაში შეიძლება ყოველ ნაირი სტატია დაიბეჭდოს გაზეთებში მიუხედავათ იმისა, რომ გინდ ის გაზეთი, რომელიც ერთ რომელიმე სტატიას ბეჭდავს, არც კი იყოს ამ მიმართულების. ჩვენის აზრით მხოლოთ მაშინ შეიძლება უმრავლესობის აზრის შეტყობა, როცა ყოველნაირი სტატია, რომელიც სრულებით უაზრო არ არის, დაისტამბება ხოლმე, მაგრამ ესეც არის, რომ აუარებელი სტატიების სტამბვას აუარებელი გაზეთებიც სჭირდება და ჩვენ კი სულ ერთი საყოველდღეო გაზეთი გვაქვს და ერთიც საკვირაო; ამისათვის ჩვენც მხოლოთ იმ გარემოებას მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომელსაც მარტო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს: აგერ ორი დღეა, რაც აქ ხმა გავრცელდა, რომ დღევანდელი აქაური სამინისტრო უნდა გადადგესო. ყველა სახელმწიფოში, საცა სამინისტროს ბედ-იღბალი ასე თუ ისე შეიცვლება დიდ მნიშვნელობას აძლევენ, მხოლოთ აქ კი ისე იცვლება და წესდება მინისტრები, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყოველივე სამმართველო წეს-რიგის ასრულება თვით სულთანის ხელშია. მისდა უნებურათ ერთი უბრალო სალდათისა, არა თუ დასჯა, პოლკიდან პოლკში გადაყვანაც არავის შეუძლია. დღევანდელი სამინისტროს გადადგომის მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ამ ბოლო ხანებში ძლიერ გიხშირდა ქუჩებში უწესოება და კაცის კვლა. მაგალითათ: ამას წინეთ ერთმა ქვრივი დედაკაცის შვილმა თათარმა თვრამეტი კაცი მოკლა სიმთვრალის დროს და შემდეგ კიდევ ერთმა სხვა თათარმა სამი და ერმაც ახლა კიდევ ორი. ამ გარემოებამ საშინელი შიშის ზარი დასცა ხალხს, ქუჩაში სეირნობა შემცირდა და თითქმის ყველა მოსეირნე აქეთ-იქით იყურებოდა, არავინ შემეხოსო, მაგრამ ჩქარა დაამშვიდეს ხალხი. ორმოცდა-ათი პოლიციის მოხელე მიუმატეს, ამ შემთხვევის მიზეზით მარტო პერას (სადაც ევროპიელნი მოსახლობენ). აქ კიდევ ის ხმაც გავრცელდა, რომ ვითომ სულთანს ნება დაერთოს, ყველა სახელმწიფოს საომარ ხომალდს თავისუფლათ შეეძლოს გასვლა გამოსვლა ბოსფორის სრუტეში (ყელში) ეს ამბავი ძლიერ უხარიათ აქაურ მოვაჭრეებს, რადგან ცხადია, თუ ყველა სახელმწიფოს საომარ გემებს ნება ექნა აქ გარებ-გამორებისა, ვაჭრობა ძლიერ იმატებს. თუ სხვა არაფერი ამ უკანასკნელს მოვლენას, ესე იგი სამხედრო გემების თავისუფლათ სიარულის ნება-რთვას კი დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რადგან ეს პირველი შემთხვევა იქნება ოტამანის საბრძანებელში.

იმ ა



## ზღვის ძაღლებზე ნადირობა

ჩრდილოეთის კუნძულები მგზავრისათვის კარგს არას წარმოადგენენ; ზამთარში სულ თოვლი და ყინული ძევს, — გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისეთი ბურუსი იცის—კაცს რომ თითი მიუტანო თვალებთან ვერ დაინახავს., მაგრამ ვაჭარი ხალხი კი იმ ადგილებს ძალიან ეტანება, რადგან ზღვის ძაღლების (ტიულენი) შოვნა ძალიან სასარგებლოა, კეტებით მიესევიან ხოლმე, ულმერთოთ ქლეტენ ასე რომ, ლამის სრულიათ გააწყონ. ზღვის ძაღლის ქონი გათქმულია მთელ დედამიწაზე. ამაზე ჩვენ გვქონდა კიდეც ლაპარაკი.

## ჩაის მოყვანა

არც ერთი ჩვეულება უფრო სასარგებლო და უფრო წესიერი ისე სწრაფათ არ გავრცელებულა ჩვენში, როგორც ჩაის სმა. იშვიათათ ნახავთ ქართლშიაც და იმერეთ-გურიაშიაც სოფელს, რომ ეს „მდუღარე წყალი“ როგორც დაცინიან ზოგიერთები არ შემოეღოთ ხმარებაში. ყოველ ცოტათი მაინც შეძლებულ ოჯახში არი „სამოვარი“ და ამითი მოაქვთ განათლებულათ თავი. ამითივე ზომავენ ოჯახის შეძლებასაც. ერთხელ სოფელში, ქართლში ვკითხე: ესა და ეს ოჯახი შემძლეა თუ არა. მეთქი და ასე მიპასუხეს: რა უშავს, ბატონო, სამივე ძმათ „სამოვრები“ შემოიტანეს ოჯახში და მდიდრები იქნებიან მარა იქნებიანო. ხმარობენ, რომ ვიფიქროთ, სითბოს მოთხოვნილებამ გამოიწვიაო. მთელ დედა-მიწაზე გავრცელებულია. არც შეიძლება მხოლოთ მოდაში შემოღებას მივაწეროთ, რადგან თუ მოდა უსარგებლოა მალე გადავარდება ხოლმე, უსათუოთ რაიმე სარგებლობა უნდა მოჰქონდეს ჩაის ხმარებას. მეჩვიდმეტე საუკუნიდან შემოიღეს ჩაის ხმარება. პირველათ გოლლანდიელებმა და რუსებმა მოიტანეს ჩინეთიდან, მაგრამ არც ეგრე ადვილათ გავრცელდა ჩაი, როგორც ჩვენ გვგონია. მართალია ჩინელები აქებდენ, რადგან ჩაის გავრცელება მათი სასარგებლო იყო, იმათ ქვეყანაში მოდიოდა და მხოლოთ იმათ იცოდენ მოვლა. მაშინ ევროპიელი ვაჭრები დაეკითხენ ექიმებს, ექიმებმაც იცნეს ეს ძალიან სასარგებლოთ და ზოგი მათგანი იმასაც კი ამბობდა: ჩაი სიცოცხლეს უმატებს კაცსაო ამას შემდეგ, რასა-



ჩაის ფოთლების კრეფა ჩინეთში

რა არის ეს სასმელი, რომ ასე ფეხი მოიკიდა ჩვენში და თითქმის ველარ ძლებს, ვინც ერთხელ შეჩვეულა, უიმისოთ. „ჩაი მიირთვით“. „ჩაიზე მობძანდით“, „იქნება ჩაი არ მიგირთმევიათ“ გაიძახიან ქალაქებში, ყოველ ოჯახში, ყოველ დღე, დილით და საღამოთი.

ამ სასმელს მხოლოთ ჩრდილოეთში, ხომ არ კვირეველია, ევროპაში სწრაფათ გავრცელდა ჩაის სმა (თუმც საფრანგეთში აქამდისაც, მხოლოთ ავათმყოფებს ასმევენ) ჯერ მარტო ჩინეთიდან და იაპონიიდან მოდიოდა ჩაი. ევროპიელებს იქ მისვლა-მოსვლა არ ემარჯვებოდათ, ისე რომ მაშინდელმა სახელ-განთქმულმა ბოტანიკოსმა ლინეიმ ბევრი საყურადღებო არა ალმო-

აჩინარა ამ მცენარეში. მხოლოთ ჩვენ საუკუნეში, ინდოეთს „ბრახმაპუტრის“ მდინარესთან, ტყეში იპოვეს ჩაის ხეები და აღმოჩნდა, რომ ჩინელებს აქედან გაუშენებიათ თავიანთ ქვეყანაში. ინგლისელებს უყვართ ჩაი და თითონვე დაიწყეს ინდოეთში ჩაის გაშენება. ბევრი ფული დაეხარჯათ, დიდი პლანტაციები გამართეს თავდაპირველათ, რასაკვირველია, ჩაი კარგი არ მოდიოდა, მაგრამ მოთმინებამ და გულმოდგინეთ მუშაობამ თავისი გაიტანა და ინდოეთის ჩაი ახლა არ ჩამოურჩება ჩინეთის ჩაის. თვითონ ჩაის ფოთლებში არის ისეთი ნაწილი „თეიმონი“ რომელიც ადამიანს უმატებს სისხლის მუშაობას და ვარჯიშობაში მოჰყავს ჭკუა-გონება. ჩაის მომზადებას დიდი ცოდნა ხელოვნება უნდა და ამაში ვერავინ აჯობებს ჩინელებს. მათი უსუფთაობა განთქმულია, მაგრამ ჩაის ფოთლების მოგროვებაში დიდ სიფაქიზეს იჩენენ. ფოთლებს წელიწადში ოთხჯერ ჰკრეფენ და ყველაზე უკეთესი ფოთლები გაზაფხულზე იცის. მეტათ ძნელია ახლათ გაშლილი ფოთლების მოგროვება. ჩინელი მუშა ქალები ამ საქმეში დახელოვნებული არიან. მუშაობის დროს იმათ არც


ჩაის ფოთლების გადარჩევა

თევზს და არც სხვა ამგვარ საჭმელს, რომლის სუნსაც ჩაი ადვილათ იზიდავს—არ მიიკარებენ, რომ ფოთლებმა სუნნელება არ დაკარგონ. ხელთათმანებს იცვამენ ფოთლების მოგროვების დროს და ყოველ დღე ბანაობენ, კალათები ზურგზე კიდიათ, ისე რომ ხელები თავისუფლათ აქვთ, მარცხენით ტოტს იჭერენ და მარჯვენათი ჰკრეფენ, როგორც სურათზეა ნაჩვენები. მწვანე ჩაის აკეთებენ ასე: ფოთლების გახმობის წინეთ ცხელს ორთქლს მიუყენებენ. და ეს მწვანე ფერს აძლევს ფოთლებს შავ ჩაის კი პირდაპირ ახმობენ. ზღვით მოტანილი ჩაი უფრო ნაკლებათ სუნნელოვანია ვიდრე აქლემებით მოტანილი, მაგრამ სანამ ჩვენამდის მოახწევდეს ჩაი, ბევრ შეცვლა-გამოცვლას გამოივლის. ზოგჯერ სულ სხვა მცენარის ფოთლებს გაახმობენ და ჩაის მაგიერათ ჰყიდიან სოფლებში. მაგ. იმერეთიდან უკანასკნელ ხუთი ათას ფუთს მოცვის ფოთელს ყიდიან და ურევენ ჩაიში. ზოგჯერაც მოხდება ხოლმე რომ გადადუღებულ ჩაის, მეორეთ გაახმობენ და გამოაქვთ გასაყიდათ. დიდი ხანია რაც საქართველოში უსინჯავთ სანიმუშოთ. მაგ. დავით დადიანის ბრძანებით სამეგრელოში, მთავარ მამია გუ-

რიელის ბძანებით გურიაში და კიდევაც ამ მცენარეს უხარებია. ალექსანდრე დადეშკელიანისაგან გაგვიგონია, რომ ერთი ვილაც ჩინეთელი ადგილობრივ მცენარისაგან აკეთებდა ჩაის, რომელსაც კიდევაც სვამდენ დადეშკელიანების ოჯახში. ახლა ეს ერთი ხანია მთავრობამაც ცოტაოდნათ მიაქცია ყურადღება და ბათუმის მახლობლათ არის გამართული ჩაის პლანტაცია, მაგრამ თუ ცემა-ტყეპით შემოიტანეს ამ ხელობის სწავლება, როგორც ამ ცოტახანში მოხდა, დიდ ხეირს არ მოუტანს იმის პატრონს.

ან—.წ.

## მეფე სოლომონ იმერეთისა, დიდ სოლომონად წოდებული.

შემდეგი *)

გამარჯვებულმა და გახარებულმა მეფემ იმ ღამეს ცუცხვათში მოისვენა და მეორე დღეს ქუთაისში მიბძანდა. იყო ერთი დიდი მილოცვა და სიხარული. ამ დროსვე მოვიდა მახარობელი შორაპნის ციხის ალებისა, ქაიხოსრო ჰაჭიაშვილი და ბაღდათის ციხისა, კოსტანტინე კოპაძე. ჰაჭიაშვილს უბოძა არგვეთში ჩვიდმეტი მოსახლე გლეხი და კოპაძეს წაბლარასხევას მთა ნახევარი. ამ დღესვე გამოეცხადა მეფეს ბერი ლორთქიფანიძე, მიულოცა გამარჯვება და მოახსენა: ეს ოც-და-ხუთი დღე გადის ციხე შამოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვერავინ გამოსულა გარდა ექვსის კაცისა, რომელიც ასის თავმა მომგვარაო. იმათი წინაპარნი ოდესმე ქრისტიანები ყოფილან და სურთ, რომ ისევ მამაპაპის რჯულს დაუბრუნდენო. მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. ლორთქიფანიძე მიუძღვა. ტყვეებმა პირველათ თავის წესისამებრ ხელი პირზე მიიდვეს, შემდეგ მიწას პირი დაყვეს, შუბლზე ხელები მიიდვეს და მოახსენეს მეფეს: ქრისტიანობის მიღება გვინდაო. მეფემ ყოველიფერი გამოკითხა მათ. გამოდგა რომ ერთი მათგანი გვარათ კვინიხიძე აჭარიდან იყო. მეორე გვარათ ქვარიანი შამშეთის ქვეყნიდან. მესამე გვარათ ჭოლოშვილი ასპინძიდან. მეოთხე გვარათ კიკინი ჭანეთიდან. მეხუთე ინავავაძე ჩაქვიდან და მეექვსე კეჟერაძე ქობულეთიდან. ეს კაცები თავის სჯულისაებრ სწავლით განათლებული იყვნენ. მეფემ უბძანა მათ: ეგებ გულით არაგსურთ ქრისტიანობა და შიში გაიძულებდესთო? მე ძალას არ გატანთ, გამითავისუფლებიხართ წადით სადაც გინდათო. ამ სიტყვაზე დაიჩოქეს თათრებმა და სჯული ქრისტიანობისა ითხოვეს. მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიათ. ჩაიყვანეს თვით მეფის სახლის ოქროს ჩალდახთან და მონათლეს. მეფემ უბოძა მათ აზნაურობა და მამულებიც დაანათლიავეს, ერთმა მათგანმა ანანია ჭოლოშვილმა, მიიღო ქართული სწავლა და შვენიერი მწერალიც იყო. ბევრი გრამოტები და განჩინებები არიან მისი ნაწერი იმერეთში.

როგორც ზემოთა ვსთქვით ქუთაისის ციხე ფიცის კაცებისაგან იყო შემოკრული. ფოთიდან თათრები საზრდოს ველარ აწვდენდენ, რადგანაც ზურაბ მიქელაძე შიგ კრიჭაში უდგათ. დრო იყო, რომ შიმშილით დაღონებულ თათრებზე იერიში მიეტანათ. მით უფრო რომ სამი-ათასი კიბე გარედან ციხეზე მისადგმელი ფიცის კაცებს მზათ ქონდათ და მეორე დღეს კიდეც მიადგენ. ბერმა ლორთქიფანიძემ უბძანა ნაფირის დამკვრელს: სანამდი მე გალავანზე არ შევდგე და ნიშანი არ მოგცე, ნაფირი არ დაუკრაო. ჯარსაც ეს ქონდა მისგან ნაბრძანები, რომ პირველ ნაფირის ხმაზე ყველა ერთათ გადამხტარიყო გალავანში. მიიდგეს ღამით გალავანზე კიბეები, შეჩერდენ მაღლა, დაკრეს ნაფირი და ყოველის მხრიდან ერთ დროს გადაცვინდენ ციხის გალავანში. შეიქნა დიდი ბრძოლა და მზის ამოსვლამდის იბრძოლეს. მოკლეს კიკინი ფაშა და ჯარიც სრულებით ამოწყვიტეს. ციხეში გამომწყვდეულმა მტრებმა შიმშილის გამო მაინცა და მაინც დიდი წინაალმდეგობა ვერ გასწიეს. ამ შემთხვევაში იყო ერთი არგვეთის აზნაური გვარათ ჩიკვაიძე თავის სიმამრს ავალიანს ახლდა. შეხვდა ხატაველი კატა, რომელსაც ქართულათ ბარგას კატას ვეძახით, გასულიყო ხეზე და ტოტებზე დახტოდა. ჩიკვაიძემ დაანება თავი ომსაც და საშოვარსაც მორთო ჭყივილი და იხვეწებოდა ეს კატა დამაჭერიეთო, მაგრამ რა დროსი იყო და ვინ აყვებოდა რომ მოხმარებოდა. გამარჯვებულმა ჯარმა

*) იხ. „კვალი“ № 23.

ერთათ შეკრიბა ყოველივე საშოვარი და საომარი იარალი მოართვა მეფეს. მაგრამ მეფემ ყოველივე იმათვე უბოძა გარდა ზარბაზნებისა. ეს უკანასკნელი იყო ქუთაისის ციხე, რომელიც ეჭირათ თათრებს ხელში და რაღაი ეს აიღეს კიდეც გაიწმინდა იმერეთი სრულიათ თათრებისაგან. დამშვიდდა ქვეყანა და ძლევა მოსილი მეფე მიეცა სიხარულსა და განცხრომას. ყოველი მხრით მოდიოდენ დიდებულნი და მორჩილებით თაყვანის მცემელნი, ულოცავდენ გამარჯვებას.

ქუთაისის ციხე საკუთრათ ფიცის კაცებმა აიღეს, ისე რომ სხვა არარავინ გაურევიათ, ფიცის კაცები იყვნენ შემდეგის გვარისანი: თავადი ლორთქიფანიძეები. აზნაურნი მესხი, ავალიანი, იოსელიანი ლოლაბერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე. გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი ესენი სცხოვრებდენ სოფლათ ახალბედისეულში, დედალაურში, ცხუკურში, გვაშტიბში, ჩუნეშში, წყალტუბოში, გვიშტიბში, ქვილიშორში. გუმათში, ჯიმაშტოროში, ოფიჩხეთში, ნამნახვანში და რიონში. ამ სოფლებს საზღვრიდა აღმოსავლეთით, სოფლები სიმონეთი, ქვაშავა, ნავენახევი, ძელური ანუ იგივე ძევრი, ჩხარი და ნაქერალას მთა აქედამ გაგრძელდებოდა დასავლეთით ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის. სამხრეთით ვაკე იმერეთი—ქუთაისი და ქიშურა. ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი· ვიდრე რაჭის საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით ზემო თქმული სოფლები ისეთი მიუდგომელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდამ ურმის შესვლა არ შეიძლებოდა, სრულებით მთაგორა და კლდოვანი ადგილები იყო. ვაკეს სივრცით ერთ ქცევა ადგილსაც იშვიათათ შეხვდებოდით გარდა ერთის ადგილისა, რომელსაც ქვია გურეშევი. ამ გორეშევის ზემო კერძოთი უძახდენ ერთ-პატარა ნაკვეთ ადგილს ლეკერწას, სადაც იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე. ფიცის კაცნი ვიდრე თოთხმეტის წლის თავისის ყმებით სამღვდელოებით და ხატებით მათის ეკლესიისა ამ მუხის ხესთან შეიკრიბებოდენ ყოველ წლობით თუთხმეტ მაისს და იფიცებოდენ ესრეთ; მეფის ერთგული ვიყოთ და თანაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვრის მოყვარეო. გვარებს კი თვითეულათ ალიარებდენ. როდესაც ერთი მათგანი ფიცს ასრულებდა მისი ყმები უკან იდგენ და ფიცის შესრულების შემდეგ პიდიოდენ ხატებზე ხელს ადებდენ და იტყოდენ: ჩვენი ბატონი მართალს ფიცავს ამისმა მადლმაო და რომ ფიცი გათავდებოდა, გამოვიდოდენ იქვე გურეშევის დიდს შვენიერს მინდორზე. იქ, ქონდათ მომზადებული ნეშოს კარვები, ბარგი, ხაბაზები, მზარეულები და ყოველივე ჭამის სამკაული, ვისაც როგორ თავი მოსწონდა. ლოგინებათ ქონდათ ნეშო და ზედ გაგებული ხალიჩები და ქვეშსაგები საზაფხულო, თუმცა. როგორც პინა ცალ-ცალკე ევვე სადილ-ვახშამიც კერძოთ კეთდებოდა, მაგრამ ჭამათ კი ყველანი ერთათ დაჯდებოდენ. პირველათ უმთავრესი სასასმოთი უნდა დაელიათ ღვინო და ეთქვათ: „დიდება ღმერთსა ღმერთო. გაუმარჯვე ჩვენ მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცის კაცს, შენდობა ბატონოო“. იყო სიმღერა ცეკვა, თამაში და გაუწყვეტლი თოფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთუ დარი იქნებოდა ორ კვირეს. იყო ყოველ დილაობმით ყაბახზე სროლა, სალამოს ჯირითი პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე. აგზავნიდა პტყლათ გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასვამდენ ყაბახათ ქაშანურს, მაკრამ ყოველი ოჯახიდამ იყო მოტანილი ნაცვლათ ყაბახისა ვერცხლის იარაღი; ე ი. აზარფეშა, თასი და დიდროვანი ვერცხლის სტაქნები და ვის სახელზედაც ყაბახი დაისმოდა მისი მიტანილი ვერცხლეულობაც იქვე ხის ძირში იდვა. ვინც ყაბახის ქაშანურს გატეხდა, ვერცხლიც მისი იყო. ფიცის კაცს დიდი გავლენა ქონდა მეფეებთან, ასე რომ უკეთუ ვისმეს მეფე გაუწყრებოდა, შერისხული მიმართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში მდევარი ველარ შეყვებოდა. რა კი ფიცის კაცს მიენდობოდა, მეფე ძალით ველარ გამოიყვანდა. შეიკრიბ ბოდენ ერთობით ფიცის კაცნი, ესენი ცოტანი არ იყვნენ ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა, მარტო თავად აზნაური და მათი ყმები, კი რასაკვირველია ზედ მეტი იყო. ფიცის კაცნი თავიანთის ყმებით შეკრებილნი ერთ ადგილას ქუთაისის მახლობლათ დაბინავდებოდენ, მიუგზავნიდენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდენ, რომ ეპატიებიათ მათთვის ის დამნაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდენ მხოლოთ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე. სხვებს კი როცა შენანებულს ნახავდენ თავის კალთას აფარებდენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია. ფიცის კაცებს მეტადრე ომის დროს დიდი ერთობა ქონდათ, ომში ერთათ შედიოდენ, — ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, გაწყდებოდენ ერთათ დ გამოვიდოდენ კიდე ერთათ. როგორც დაჭრილს არ დატოვებდენ ეგრეთვე არც მკვდარს. და

თუ ვისმე შენიშნავდენ, რომ ხელ-გამოულებელი და ან შეშინებული მოკვდა იმას ალარ მარხავდენ და არც შინ წამოიღებდენ, მინდვრათ დასტოვებდენ მხეცებ-ს შესაჭმელათ. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდენ ფიცის კაცს ულალატაო და ალარც შეიძლებოდა დაეყენებიათ მათ საზღვარში, აყრიდენ და გადაასახლებდენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიცის კაცებივე შეისყიდიდენ ლირებულ ფასათ.

(შემდეგი იქნება)

## ჩვენი საშინაო საქმეები

ბევრი, საკმაოთ ბევრი საქმე და საკითხი აღიძრა ჩვენს საზოგადოებასა და ლიტერატურაში მას შემდეგ, რაც „კვალი“ დაარსდა. ატყდა სჯა-ბაასი და კამათობა, რომელსაც, ვგონებ, დასასრული ჯერაც არ მიცემია. მეც, თქვენს უმორჩილეს მონას, რაღაც საფათერაკოთ აღმეძრა სურვილი, ჩავერიო ამ სჯა-ბაასსა და კამათობაში და, შეძლებისადაგვარ, გამოვთქვა ჩემი შენიშვნები ამ „დაწყევლილს“ მწვავე საშინაო საქმეთა შესახებ. ვინ იცის, ჩემო მკითხველო, ეგებ, ამ შენიშვნების გამოთქმითა და ურთიერთ შორის აზრის გაზიარებით ჩვენს დაწყლულებულს, მძიმე ვარამით ავსილს გულს ცოტა რამ მაინც შევუმსუბუქდეს.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა და ვითარება რომ ძლიერ დაქვეითებულია და აუტანელიც, ამას ყველა აშკარათ ხედავს და გრძნობს. ხოლო რამ უნდა შეცვალოს, ან რითი უნდა მოხდეს ძირითადი ცვლილება და რა მიმდინარეობა მიეცემა მომავალში ჩვენს ცხოვრებას, რომ ეს მძიმე ვითარება მთელის ერის საკეთილდღეოთ გაუმჯობესდეს,—აი საკითხი, რომელიც ჟამთა ვითარებამ წამოაყენა წინ და ჩვენმა ლიტერატურამაც მას ხელის პოტინი დაუწყო. მაგრამ, ვინაიდგან ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა, მოკლე, სულ მცირე ხანია, რაც აღძრეს სჯა-ბაასი ამ საკითხის შესახებ, ამიტომ იგი ჯერ კიდევ, რასაკვირველია, ვერ გამოირკვა მთელი თვისი სავსებითა და ნიშნობლივი თვისებით. ამ მხრივ ჯერ ჩვენი მწერლობა ჰასაკშიაც არ მოსულა და, მაშასადამე, ბავშია და უსუსურიც... ასეა, თუ ისე, ჩვენი აწინდელ ცხოვრების ვითარებას ქართველი ინტელიგენცია დასებათაც კი დაუყვია...

ერთი ნაწილი ჩვენი მწერლობისა იმ აზრისა არის, რომ ჩვენი ეკონომიურათ გაუმჯობესობა და წინ წაწევა შეუძლია მხოლოთ კაპიტალიზმსა და მის პირმშო შვილს ბურჟუაზიას *) რაც უფრო ადრე და მალე აღორძინდება და დამკვიდრდება საქართველოში კაპიტალიზმი, მით უფრო აჯრე დაედება მალამო ჩვენს დაქვეითებულს და აუტანელს ცხოვრებას. ხოლო მეორენი ამ აზრის მიმდევართ უპასუხებენ, რომ ჩვენთვის კაპიტალიზმი სრულიათ არ არის საჭირო, რადგან მისი გაკეთება, რაიც კაპიტალიზმა უნდა დაამყაროს, შეუძლია მიწათ-მოქმედებასა და ინტენსიურათ მის შემუშავებას, თუ ამ უკანასკნელს ცოტა რამ დახმარებას აღმოვუჩენთო. ამასაც კი დასძენენ ესენი, რომ ჩვენში კაპიტალიზმი ფეხს ვერ მოიკიდებს, რადგან საქართველოში კაპიტალიზმის დასამყარებლათ საჭირო პირობანი არ მოიპოვებიანო: „პირ იქით ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას და შესაძლოა ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე ამოცენდეს ისეთი ეკონომიური ფორმა, რომელიც შეიძლებს გადაელობოს ევროპის კაპიტალისტურ წეს- წყობილების დამყარებას ჩვენშიო *)“. „მესამენი“ გადაჭრით ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი „გასაოცარის სისწრაფით“ იკიდე,ს ფეხს ჩვენში (ნ. ჟორდანია). კაპიტალიზმი საქართველოში დამკვიდრდა და უკვე არსებობს

---

* იხ. „მოამბე“ VIII „შინაური მიმოხილვა“ ნ. ნიკოლაძისა.

*) იხ. „ივერია“ №№ 33—34 1895 წ.

კლასთა შორის ბრძოლაო (ჯიბლაძე) .**)

ჯერ ვიდრე ჩვენც ჩავერეოდეთ ამ საკითხის გარჩევა-გამორკვევაში, ვგონებ, მეტი არ იქნება, ცოტა რამ რუსულ მწერლობიდან მკითხველს მოვაგონოთ.

რუსეთში მთელი, ასე წოდებული, პროგრესიული მწერლობა ორ დიდ ბანაკათ არის გაყოფილი იმ საკითხის შესახებ, რაზედაც ჩვენ ამ ჟამათ ბაასი გვაქვს. ერთი ნაწილი ამ მწერლობისა იმას ღაღადებს, რომ რუსეთს არ შეუძლია კაპიტალიზმს გვერდი აუაროს და რომ ეს ფორმა ეკონომიური განწყობილებისა დღეს თანდათან, ნელ-ნელა ფეხს იკიდებს და ცხოვრებაში ნიადაგს პოულობს. ამათ, რასაკვირველია, თავისი საბუთები და ფაქტები მოჰყავთ, რათა თვისი შეხედულობა დაამტკიცონ და ყოველ ეჭვს გარეშე დასახონ იგი.

ეს მწერლები იმასაც ამბობენ, რომ ასეთი ვითარება დიდათ სასიხარულო და სასურველიცაო, რადგან რუსეთი უამფორმოთ (თუ არ კაპიტალისტურ წეს-წყობილებით) ვერ ავა განვითარების იმ საფეხურზე და ვერ მიაღწევს იმ სანატრელ მომავალს, რასაც კაპიტალისტური წეს-წყობილება თავის ძუძუს აწოვებს. მეორე გვარის მწერლები კი სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებენ. ეს უკანასკნელნი ჰგონებენ, რომ რუსეთისათვის სრულიად საჭირო არ არის განვლოს კაპიტალისტური წეს-წყობილება, იმიტომ, რომ რუსეთს ძველთაგანვე დღემდე ისეთი დაწესებულება და ეკონომიური ურთიერთობა შერჩენია, რომელიც უკაპიტალიზმოთაც, თავის თავათ მიგვიყვანს იმ სასურველის მომავალის კარებამდეო. იმათის აზრით, ასეთს დაწესებულებასა და ეკონომიურს ურთიერთობას წარმოადგენს Община ანუ міръ-ი. ამ უკანასკნელი გვარის მწერლებს მეტათ დიდი შიში აქვთ კაპიტალიზმის ცუდი მხარეებისა, და ამიტომ მას შორს გაურბიან. მათ შორის ისეთი ვაჟ-ბატონებიც კი მოიპოებიან, რომელთ შესაძლებლათ მიაჩნიათ, რომ რუსეთი შეიძლებს ერთბაშათ დაამყაროს ის მამავალი წეს-წყობილება, რომელიც აუცილებლათ და პირდაპირ კაპიტალიზმს მოჰყვება და იმათმა სამშობლო ქვეყანამ კი კაპიტალიზმის ჭაპანწყვეტა არ გაიაროს. აი, ეს არის მოკლეთ ისტორია რუსულის ეკონომიური ლიტერატურისა.

ჩვენშიაც, როგორც მკითხველი ხედავს, სწორეთ ამ გვარს გზას დაადგა მწერლობა ამავე საკითხის შესახებ. და ეს მოხდა ან იმიტომ, რომ განსასჯელი საგნის ერთგვარობამ წარმოშობა აზრებისავე ერთნაირობა, და ან იმიტომ,—ეს კი უფრო ახლოა სიმართლესთან—რომ ჩვენმა მწერლობამ, დიდი ხანია, დაჰკარგა ყოველიფერში თავისებური და დამოუკიდებელი აზროვნება და მარტო ოდენ მიმბაძველობით ლაფავს სულსა... ჩვენთვის ახლა ის კი არ არის საინტერესო, ვიცოდეთ, რუსულ მწერლობაში თუ რომელი დასია მართალი. ჩვენთვის საგულისხმო მხოლოთ ის არის, თუ რომელი რიგის მწერალი უფრო ახლოა ცხოვრების სინამდვილესთან ჩვენი ქვეყნის შესახებ. აი, ეს საგანი განვიხილოთ.

ფეს

**) „სულ ახალგაზრდა მეცნიერმა", ბ-ნ ჟორდანიამ ამ დღეებში ერთი გაწიანურებული და გასამტერებელი „კრიტიკის-კრიტიკა" გვიძღვნა შვენიერი სიტყვების თაიგულით შემკული. ჭეშმარიტათ, ჩვენ სასაცილოთ ავიგდეთ ჩვენი თავი, როდესაც ყურადღება მივაქციეთ შარშანდელ „მოამბეში" დაბეჭდილს ჟორდანიას წერილს. დღეს არც „სულ ახალგაზრდა მეცნიერი" აქცევს მაინც-და-მაინც დიდ ყურადღებას თავის შარშანდელ „ეკონომიურ განვითარებას". იგი ამ ჟამათ გატაცებულია ბ-ნ ბელტოვის ახალი ნაწერით: Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію (С-Петербургъ 1895 г.) იმისი გულ-უბრყვილო პროზელიტი გამხდარა, ახალი აზრები, ახალი ტერმინებიც იქიდან მოაქვს და, თითქოს ამერიკა აღმოაჩინაო, დიდის თავ-მოწონებით ჯოხის ცხენზე შესკუპებული, მედიდურათ ჩაგვჩიჩინებს იმას, что послѣдняя книжка сказала სასაცილოა, ღმერთმანი! მაგრამ სიცილსაც თქვენი ჭირი წაუღია, საფათერაკოა და თან უსარგებლოც ასეთ „სულ ახალგაზრდა მეცნიერთან" ბაასი. უმჯობესია ისევ მის მოძღვარ ბ-ნ ბელტოვთან დავიჭიროთ შემდეგ საქმე ჟორდანიას „არგუმენტაციას" კი სხოლიოებშიაც მოვერევით ავტ.

# სვიმონ ხელი

(ისტორიული მოთხრობა)

## XIII

დასასრული

ოსმალებმა რომ სვიმონ მეფე იმერეთს გაიგულეს, საქართველოზე გამოითარეშეს. სვიმონს თბილისში ამბავი დახვდა, ოსმალები ტაშირზე არიან დაბანაკებულიო. მეფემ სწრაფათ შეადგინა ჯარი მეციხოვნეებისაგან, გაუძღვა წინ, დაეცა მტერს. თათრებს სვიმონი ჯერ ისევ იმერეთში ეგულებოდათ. როცა გაიგეს ჯარს თითონ მოუძღვისო, შეშინდენ, დაიწიეს ტაშირიდან, მაგრამ მეფე მისწვდა იმათ, დიდათ დაახოცა, წაართვა სიმაგრეები, რომლებიც დაეჭირათ იმათ, დამარცხებული იმისი ლაშქარი რომ მოეიდა იმერეთიდან; თითონ მეფე

გამარჯვებული და დავლით სავსე შემოვიდა თბილისში.

ხონთქარი ახლა კი მთლათ გარისხდა; გადაწყვიტა უთუოთ მოეღო ბოლო სვიმონის მძლავრობისათვის. დროც მარჯვე იყო, რადგან სპარსეთთან ზავი ჰქონდა შეკრული, არ ეშინოდა იმათ—მხრიდან. უბრძანა თავის ამირ-სპასალარს ჯაფარ-ფაშას გაელაშქრა საქართველოზე, თან ნება დართო მოეთხოვა რამდენიც უნდოდა კაცი, თუ ხარჯი.

ჯაფარ-ფაშა გულ-მოდგინეთ შეუდგა საქმეს. შეყარა დიდი ლაშქარი, შეაგროვა საგძალი, წამოიღო თან, საომარ იარაღის გარდა, გზების საკეთებელის და ტყის საკაფი იარაღი, რადგან ამოდენა ლაშქრიმოძრაობისათვის გზების კვლევა იყო საჭირო. ძალიან ფრთხილათ იქცეოდა ფაშა, რადგან იცოდა სვიმონის საარაკო გამბედაობა და ყოველ წუთს მოელოდა თავ-დასხმას.

— ჯაფარ-ფაშა ერთი უკეთესი სარდალთაგანია ხონთქრისა, ღირს გავმკლავოს იმას კაცი, თქვა სვიმონმა და შეყარა ლაშქარი.

სვიმონის ჯარი ახლა დიდი არ იყო, მაგრამ სულ დარჩეული რაზმებიდან შედგებოდა და ისე იყო მოწყობილი, რომ მოძრაობა ადვილათ შეეძლოთ; ამას დიდი ყურადღება მიაქცია სვიმონმა, რადგან უნდოდა ეცადნა ისეთი ომი, როგორიც დადიანმა გაუწია იმას.

ამასობაში ჯაფარ-ფაშა ნახიდურამდის მოვიდა და იქ დაბანაკდა. ჯაშუშებმა მოუტანეს მეფეს ამბავი, როგორ იყო მტრის ბანაკი გაწყობილი. სვიმონი დაფიქრდა, ნახა შესაძლებელი იყო მარჯვეთ შებმოდა ოსმალებს, მაგრამ იჭვი შეეპარა მიტანილი ამბის სინამდვილეზე; დაასკვნა თითონ დაეთვალიერებინა მტერი. ბევრი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა და წავიდა სალირაშენიდან, სადაც იდგა მეფის ლაშქარი.

ოსმალების დასაზვერათ რომ წავიდა მეფე, თან მხოლოთ ათი მხედარი და ერთი მექანარი წაიყვანა. დაათვალიერა მტრის ბანაკი, მოინდომა ენახა, რამდენათ ფხიზლათ იყვენ ოსმალები, და უბძანა მექანარს ბუკი დაეკრა ბუკის ხმაზე შეკრთა ოამალი, ბანაკში დიდი მოძრაობა შეიქნა. სვიმონი გამობრუნდა. მტრის რაზმი დაედევნა იმას. იგრძნო მეფემ, ფიცხათ წამოვიდა. მეფეს ფეხ-და-ფეხ მოდევდა მარტო თულაშვილი, სხვები ცოტა უკან ჩამორჩენ. კიდეც მოატანეს ალგეთს, ახლა ადვილი იყო გადარჩენა, მაგრამ ცხენები რომ წყალში შემორეკეს, შურდანი უეცრათ დატორტმანდა და შლამიდან ველარ ამოვიდა. მტერმა მოასწრო. სვიმონი რომ შეიპყრეს, მოაგონდა თავის პირველი დატყვევების ამბავი როცა ის ამავე ადგილებში სპარსებმა შეიპყრეს, და დაიძახა

— კიდევ აქ?! კიდევ ასე?!.

დაღამდა. მეფე არსადა ჩანდა. ლაშქარმა დაიძინა. აქა-იქ-ღა მოჩანდა ცეცხლი, ერთი კარავი კი მთლათ იყო განათებული. კარავში იყვენ ბატონიშვილი გიორგი, საჩინო ბარათაშვილი, არჩილ მუხრანბატონიშვილი, იასე ორბელიშვილი, საამ თურქისტანიშვილი, შიოშა სააკაძე და ზაზა ციციშვილი. ბატონიშვილი ძლიერ ღელავდა.

— რა გაუტეხელი კაცია მამა ჩემი! ხელია ნამდვილი, ხელი! აიტეხა, მე თ..თონ უნდა დავათვალიერო მტერიო. ის ათი კაციც ძლივს გავატანე, მაშინდელი არ იყოს, თითონ რომ წავიდა ფერად-ფაშასთან ხატის სოფელში და დესპანათ შეეტყუა... გული კარგს არას მეუბნება. ჯაფარ-ფაშა ფთხილობს. რომ გაუგოს სიახლოვე?..

— რათ ჰღელავთ და მიცემიხართ საგონებელს ბატონიშვილო? სვიმონ მეფისათვის პირველი არ არის ამისთანა სიმამაცე. მაშ ვის ანდოს სამძიმო საქმე? ბატონი გამოცდილია, მტერი ვერას ავნებს იმას, მიუგო ბატონიშვილის სიტყვებით ცოტათ ნაწყენმა საჩინომ.

— თუნდ გაუგონ, რას უზამენ? შურდანისთანა ფეხ-მარდი ცხენი ჯაფარის ბანაკში ერთიც არ იქნება, ბიჭები კარგები ახლავან, გზა იციან, ყოველთვის დაალწევენ თავს, მოახსენა არჩილმა.

— ღმერთმა ქნას! ამოიოხრა ბატონიშვილმა.

— თულაშვილი მაინც თან იახლა? ძალიან ენდობა მეფე იმ კაცს, მე კი გული ვერ შევაწყე თქვა სააკაძემ.

ამ ლაპარაკში რომ იყვენ, გარედან ხმაურობა მოისმა. კარავში შეიჭრა სისხლით მოსვრილი მხედარი და დაიძახა:

— დაეილუპენით! ბატონი მეფე ტყვეთ ჩავარდა. დაგვედევნენ, ვინც ჩამოგვრჩა, დაგვიხოცეს. ფარცხისის გასწვრივ ჩამოვეშვენით; შევყარეთ ცხენები ალგეთში; შურდანი ფლატეში ჩაიფლა! დაჭრილი ყოფილიყო, ველარ გამოვიყვანეთ. არიქა გზა მოუჭერით!.

ყველას ელდა ეცა. ერთ წამს მოეფინა ეს ამბავი, ბანაკში არეულობა შეიქნა. ბატონიშვილმა მაშინვე დაადევნა მტერს რჩეული რაზმი, მთელი ლაშქარიც სწრაფათ აკაზმა. უმთავრეს ლაშქარს თითონ გაუძღვა, სხვებს უბძანა სხვა-და-სხვა მხრიდან თავს დაევლოთ მტრისათვის. სალირაშენიდან მთლათ მოიწმინდა ჯარი.

ოსმალებიც ჩქარობდენ. ჯაფარმა ძვირფასი ტყვე ჩაიგდო ხელში, კარგათ იცოდა, რომ ქართველებ

თავებს დაიხოცდენ მეფისათვის და არჩია იმისი გატაცება. ფაშამ გაასწრო, გაიტაცა მეფე, დანარჩენი იმისი ჯარი კი მოიმწყვდიეს ქართველებმა და მუსრი გაავლეს. მეტაურე ზარათაშვილმა ისახელა თავი; კარგათ იცოდა იქაური გზა-კვალი, მარჯვეთ იქცეოდა. მაგრამ ლაშქარს გამარჯვება აღარ ახარებდა, მტერმა გული მოსტაცა იმას.

—

1604 წელს სტამბოლს მივიდა საქართველოს მეფის გიორგის დესპანი და ხონთქარს წერილი მიართვა. გიორგი თხოვდა სულთანს გაეთავისუფლებინა იმისი მამა სვიმონი და, მძევლებს გარდა, უგზავნიდა სწორეთ რომ ღირებულ სასყიდელს, რომელიც ანუსხული იყო მეფის წერილში.

ამ წერილმა ხონთქარი დააფიქრა. თან არ უნდოდა გიორგი მეფე მოემდურებინა და ძვირფასი სასყიდელიც ხელიდან გაეშვა, თან ეშინოდა გაეთავისუფლებინა სვიმონი, რადგან იცოდა რა გამბედავი და რა გამოცდილი სარდალი იყო ის. ბოლოს გადაწყვიტა ერთი კიდევ ეკითხა სვიმონისათვის პირი და თავისთან დაიბარა.

სვიმონ მეფე კოშკის ფანჯარასთან იდგა დაღონებული, როცა შევიდა იმასთან კაცი და მოახსენა ხონთქარის ბძანება. მეფე წადგა ხონთქრის წინ. სულთანმა დიდი პატივისცემით მიიღო ის და უთხრა:

— შენ შვილს მეფე გიორგის სასყიდელი გამოუგზავნია, მთხოვს გაგათავისუფლო; მე გათავისუფლებ, მაგრამ იმ პირობით, რა პირობითაც წინათაც მსურდა გამეთავისუფლებინე: უნდა შემომფიცო ერთგულობაზე და ხარჯიც დაიდვა ჩემი.

სვიმონს ეწყინა ამ წინადადების გამეორება, თავი ველარ შეიმაგრა და მკაცრათ უპასუხა:

— ნუ იფიქრებთ! მიყვარს თავისუფლება, მომსურვილდა საქართველოს ნახვა, მაგრამ მაგ ფასათ არ მინდა არც თავისუფლება, არც ჩემი სამშობლოს ხილვა. საკუთარ ბედნიერებას ქართველი არაოდეს არ იყიდის მაგ ფასათ!..

ის იყო სვიმონი დაბრუნდა კოშკში, როდესაც შევიდა იმასთან ხონთქრის კარის კაცი, იმას შეჰქვა თან მონა, რომელსაც ოქროს კულა და ფიალა ეჭირა ხელში ოქროსივე სინით

— ბრწყინვალე ხონთქარი გაჰკვირდა, თქვენ რომ ისე იწყინეთ იმისი სიტყვა; ჰსურს არ დაიჩნიოთ წყენა; მეგობრობის ნიშნათ ეს სასმელი მოგართვათ თავის სუფრიდან.

სვიმონს მწარეთ გაეღიმა და უთხრა:

— ვიცი რა მეგობრობის ნიშანია ეგ... დაასხი!

— ჩემო ძვირფასო სამეფო, ჩემო ტკბილო სამშობლო, შეიწირე სუნნად სუნნელ მსხვერპლათ ჩემი სიცოცხლე! —თქვა მეფემ და დაცალა საწამლავით სავსე ფიალა.

ვ ბარნოვი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის“ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

## მარი ბროსსეს

საქართველოს ისტორია

ნაწილი პირველი, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ გამოცემა ნიკ ღოღობერიძისა. ფასი 70 კაპ.

2—2

---

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79,

ავადმყოფს მიიღებენ დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

---

1895

## „მოამბე“

თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში იმავე პროგრამით

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
| --- | --- | --- | --- |
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში. | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარეთ . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთათ შემოტანა ეძნელებათ, შეუძლიათ შემოიტანონ: 1 იანვრამდე – 4 მან., 1 აპრილამდე—3 მ. და 1 სეკტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „МОАМБЕ“.

ვინც წლიურ ფასს წინ-და-წინ შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ--სა


Доз. цен. Тиф исъ 3-го Юня 1895 г. (§)Тип. М. Д, Ротиніанца (სტამბა, მ. დ. როტინიანცის) Год. пр., д 41